ადიღეური (ჩერქეზული) ენა
Adighian language 1

ადიღეური ენა 1-ის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან და დაამუშავებენ ამ ენის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ასევე ადიღეური ენის ისტორიას, მის ფონეტიკა-ფონოლოგიას. ამისათვის მაგისტრანტი უნდა გაეცნოს ფონეტიკა - ფონოლოგიის შესახებ არსებულ შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას, რათა შეძლოს მისი სიღრმისეულად გაანალიზება ფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდების გამოყენებით.

ადიღეური (ჩერქეზული) ენა
Adighian language 2

ადიღეური ენა 2-ის ფარგლევში სტუდენტები შეისწავლიან ამ ენის მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა; გათვალისწინებულია ადიღეური ენის მორფოლოგია და მორფონოლოგიის შესწავლა სიღრმესეულად, შესაბამისად, მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზება მორფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით

ადიღეური (ჩერქეზული) ენა
Adighian language 3

ადიღეური ენა 3-ის ფარგლებში გათვალისწინებულია ამ ენის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შესწავლა. მაგისტრანტს შეეძლება ამასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა. ადიღეური ენის სინტაქსის საკვანძო საკითხების შესწავლა სიღრმისეულად, შესაბამისად, სინტაქსის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება სინტაქსში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; მორფოსინტაქსის საკითხების შესწავლას. ადიღეური ენის ლექსიკური ფონდის სრულყოფილი შესწავლა.

ადიღეური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი

Linguistics Analisis of an Adyghian Text

სამაგისტრო კურსი ადიღეური სალიტერატურო ენის ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკური ფონდის ძირითად საკითხთა საფუძვლიანი შესწავლას ითვალისწინებს. კავკასიურ ენათა სპეციალობის მაგისტრანტები ადიღეური ენის ფონოლოგიას, მორფოლოგიასა და სინტაქსს ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ფონზე შეისწავლიან;
ენის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითი (სინქრონიული) ანალიზისა და ამ სისტემა-სტრუქტურის ისტორიის (დიაქრონიული) კვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით ასწავლოს მაგისტრანტებს ენის კვლევა-შესწავლის მიმართულებით დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის გზები ისე, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს საკუთარი დაკვირვების ჩატარება.

აფხაზურ-ადიღურ ენათა შედარებითი გრამატიკა
Comparative grammar of the Abkhaz-Adyghian languages

სალექციო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია აფხაზურ-ადიღურ ენობრივ სისტემებში საერთოსა და განსხვავებულის, ამოსავალი ვითარებისა და განვითარების მიმართულების წარმოჩენა, ენათა შედარებითი კვლევის უნარის გამომუშავება.

აფხაზური ენა 1
ABKHXAZIAN LANGUAGE 1

აფხაზური 1–ის კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან აფხაზური ენის ძირითად ფონოლოგიურ-ფონეტიკურ მოვლენებს აბაზურ ენასთან მიმართებით; შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითი (სინქრონიული) ანალიზისა და ამ სისტემა-სტრუქტურის ისტორიის (დიაქრონიული) კვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით ასწავლოს სტუდენტებს დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის გზები ისე, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს საკუთარი დაკვირვების ჩატარება ენის ისტორია-სტრუქტურის მისთვის საინტერესო საკითხზე.

აფხაზური ენა 2
ABKHXAZIAN LANGUAGE 2

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია კავკასიურ ენათა სპეციალობის მე-2 მოდულის მაგისტრანტებისათვის აფხაზური ენის ძირითადი ფონოლოგიურ-ფონეტიკური მოვლენებისა და მორფოლოგიური მოვლენების აბაზურ ენასთან მიმართებით სწავლება, ენის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითი (სინქრონიული) ანალიზისა და ამ სისტემა-სტრუქტურის ისტორიის (დიაქრონიული კვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით ასწავლოს მაგისტრანტებს დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის გზები ისე, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს საკუთარი დაკვირვების ჩატარება, მასალის მოპოვება, სისტემატიზაცია ენის ისტორიისა და სტრუქტურის მისთვის საინტერესო საკითხზე.

აფხაზური ენა 3
ABKHXAZIAN LANGUAGE 3

შეასწავლოს კავკასიურ ენათა სპეციალობის მე-2 მოდულის მაგისტრანტებს აფხაზური ენის ბზიფური დიალექტისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონოლოგიურ-ფონეტიკური მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკოლოგიური თავისებურებანი, აბაზურ ენასთან მიმართებით, შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითი (სინქრონიული) ანალიზისა და ამ სისტემა-სტრუქტურის ისტორიის (დიაქრონიული კვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით ასწავლოს სტუდენტებს დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის გზები ისე, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს საკუთარი დაკვირვების ჩატარება ენის ისტორია-სტრუქტურის მისთვის საინტერესო საკითხზე.

აფხაზური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი
Lingvuistic analysis of Abkhaz texts

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია, რომ შეასწავლოს კავკასიურ ენათა სპეციალობის მაგისტრანტებს აფხაზური ენის ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსი ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ფონზე;
ენის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითი (სინქრონიული) ანალიზისა და ამ სისტემა-სტრუქტურის ისტორიის (დიაქრონიული) კვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით ასწავლოს მაგისტრანტებს ენის კვლევა-შესწავლის მიმართულებით დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის გზები ისე, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს საკუთარი დაკვირვების ჩატარება.

აზერბაიჯანის რელიქტური ენები
Relictive languages of Azerbaijan

სალექციო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია:

ა) მისცეს ცოდნა არეალური ლინგვისტიკის ენობრივი კონტაქტებისა და ენათა ინტერფერენციის ტიპოლოგიურიი კვლევის თანამედროვე ლინგვისტური მეთოდოლოგიის შესახებ კონკრეტული რეგიონის მასალაზე;
ბ) გააცნოს საბაზო ტერმინები და დეფინიციები;
გ) ასწავლოს ენათა ინტერფერენციის ტიპების და სტადიების კლასიფიცირება რელევანტური მარკერების მიხედვით;
დ) გამოუმუშავოს უშუალოდ ენობრივ მასალაზე მუშაობის ჩვევა და შედარებითი ანალიზის უნარი;
ე) ასწავლოს ენობრივი ესტრუქტურის ცვლილებებში შინაგანი კანონზომიერებისა და გარეგანი გავლენების შედეგთა გარჩევა;
ვ) გაიცნოს ე.წ. „შაჰ დაღის“ ენები (კრიზული, ბუდუხური, ხინალუღური) და თალიშური, რომლებიც ჩვენს უნივერსიტეტში პირველად ხდებინ შესწავლის ობიექტები;
ზ) გააცნოს ეროვნული უმცირესობის ენების დაცვასა და გადარჩენაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის აზერბაიჯანულ გამოცდილებას;
თ) გააცნოს „ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობის ენათა შესახებ“ და მისი ინტერპრეტაციები;
და სხვ.

აზერბაიჯანული ენა 1
Azerbaijan Language 1

აზერბაიჯანული ენა 1-ის ფარგლებში გათვალისწინებულია ამ ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მომზადება: აზერბაიჯანული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის შესწავლა სიღრმისეულად, შესაბამისად, ფონეტიკის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება ფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

აზერბაიჯანული ენა 2
Azerbaijan Language 2

აზერბაიჯანული ენა 2 შესწავლის მიზანია ამ ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მომზადება: აზერბაიჯანული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის შესწავლა სიღრმესეულად, შესაბამისად, ფონეტიკის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება ფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

აზერბაიჯანული ენა 3
Azerbaijan Language 3

აზერბაიჯანული ენა 3-ის ფარგლებში გათვალისწინებულია ლექსიკისა და სინტაქსის შესწავლა. ამასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა. აზერბაიჯანული ენის სინტაქსის საკვანძო საკითხების შესწავლა სიღრმესეულად, შესაბამისად, სინტაქსის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება სინტაქსში არსებული უახლესი

მეთოდებისა და მიდგომების გამოღენებით. აზერბაიჯანული ენის ლექსიკური ფონდის სრულყოფილი შესწავლა.

ბასკურ-კავკასიური ლინგვოკულტურულოგიური ურთიერთობები

Basque-Caucassian Linguistic Relations

წინამდებარე კურსი ემსახურება მაგისტრანტისთვის მწყობრი და სისტემური ცოდნის მიცემას ბასკურ-კავკასიური ლინგვოკულტურულოგიური ურთიერთობების სფეროში. კურსი მაგისტრანტებ აცნობს ბასკურ-ქართველური ენების ნათესაობის შესახებ არსებულ ისტორიული თვალსაზრისებსა და თანამედროვე კომპარატივისტიკის მიღწევებს.

სტუდენტები შეისწავლიან ენათა იბერიულ-კავკასიური ოჯახის გენეალოგიური ხის ბოლოდროიინდელ ვერსიას და მასში შემავალი ენობრივი ჯგუფების მეცნიერულ კლასიფიკაციას, აჩვენებს ბასკური ენის ადგილს კავკასიურ ენათა შორის და ბასკური და ქართველური ენების ამ კლასიფიკაციის მიხედვით ერთ ჯგუფში გაერთიანების საფუძვლებს;
სტუდენტები შეისწავლიან ქართველური და ბასკური ენების ფონოლოგიურ სისტემათა, ძირ-ფუძის სტრუქტურათა, გრამატიკულ პარადიგმათა და სინტაგმათა თუ ლექსიკურ ფონდთა დახასიათებას ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიურ-შედარებითი პოზიციიდან სინქრონიულ დონეზე;
ქართველური და ბასკური ენების ფონოლოგიურ სისტემათა, გრამატიკულ სტრუქტურათა და ლექსიკურ ფონდთა დახასიათებას ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიურ-შედარებითი პოზიციიდან დიაქრონიულ დონეზე;
გააცნობს სტუდენტებს საერთო-ბასკურ-ქართველურ ფუძე-ენაზე მეტყველი ეთნოსის პირველსაცხოვრისს ენობრივი მონაცემების მიხედვით (ლანდშაფტი, კლიმატი, ფლორა, ფაუნა და ა.შ. სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ჩვენებათა გათვალისწინებით);
გააცნოს საერთო-ბასკურ-ქართველურ ფუძე-ენაზე მეტყველი ეთნოსის ტომობრივი შედგენილობა ენობრივი მონაცემების მიხედვით (სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ჩვენებათა გათვალისწინებით);
მაგისტრანტი პირველად იღებს არა მხოლოდ მზა და ნორმატიულ პასუხებს კარდინალურ საკითხებზე, არამედ თვითონაც მიდის გარკვეულ პასუხებამდე მოცემული ფაქტების ვერიფიცირებადი მეთოდებით ანალიზის შედეგად.

ჩეჩნური დიალექტოლოგია

Dialectology of Chechenian

კურსის ფარგლებში სტუდენტს გაუღრმავდება ჩეჩნური ენის თეორიული საკითხების ცოდნა, გამომუშავდება საკვლევი მასალის დამოუკიდებლად შერჩევის, მოპოვებისა და სისტემატიზების, აგრეთვე, სხვადასხვა დიალექტის ანალიზის უნარ-ჩვევები.

ჩეჩნური ენა 1 (ფონეტიკა)
Chechen language 1 (phonetic)

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან ჩეჩნური ენის შესახებ არსებულ ლიტერატურას (შესწავლის ისტორია). გარდა ამისა, ჩეჩნური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის სიღრმისეულად შესწავლა, შესაბამისად, ფონეტიკის შესახებ არსებული ლიტერატურის გაცნობა-გაანალიზება ფონოლოგიაში შემუშავებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

ჩეჩნური ენა 2 (მორფოლოგია)
Chechen Language 2 (Morphology)

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია მიზანია, ჩეჩნური ენის მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, ენის მორფოლოგიის, მორფონოლოგიის შესწავლა სიღრმისეულად; შესაბამისად, მორფოლოგიის შესახებ არსებული ლიტერატურის გააანალიზება მორფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყემებით.

ჩეჩნური ენა 3 (ფონეტიკა)
Chechen language 3 (Syntaxis)

ჩეჩნური ენა 3-ის შესწავლის მიზანია ამ ენის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შესწავლა; იმ ლიტერატურის გაცნობა, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ საკითხებს. გარდა ამისა, მაგისტრანტი შეისწავლის ჩეჩნური ენის სინტაქსის საკვანძო საკითხებს სიღრმისეულად, შესაბამისად, გაიცნობს სინტაქსის შესახებ არსებულ ლიტერატურას, გააანალიზებს სინტაქსში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; გაეცნობა და შეისწავლის ჩეჩნური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს.

ჩეჩნური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი
Linguistic analysis of a Chechen text

კურსის ფარგლებში სტუდენტებს გაუღრმავდებათ ჩეჩნური ენის თეორიული საკითხების ცოდნა, გამოუმუშავდებათ საკვლევი მასალის დამოუკიდებლად შერჩევის, მოპოვებისა და სისტემატიზების, აგრეთვე, სხვადასხვა სირთულის ჩეჩნური ტექსტის სწორად ანალიზის უნარ-ჩვევები.

წინა აზიის ძველი ენები (მიმოხილვითი კურსი)
Ancient Languages of the Near East (survey)

ლექციათა კურსი წარმოადგენს წინა აზიის ძველი ენების აღწერას. იგი მიზნად ისახავს, გააცნოს სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის ენები, რომლებიც გავრცელებული იყო მოცემულ რეგიონში უძველესი დროიდან ძვ.წ. I ათასწლეულემდე. თითოეული ენის მიმოხილვას წამძღვარებული აქვს შესავალი ისტორიისა და კულტურის შესახებ, დამწერლობის დახასიათება და ა.შ. ეს კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ერთმანეთს შეადარონ განხილული ენები და გამოავლინონ როგორც განსხვავებები მათ შორის, ასევე საერთო გენეტიკური და ტიპოლოგიური ნიშნები.

დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა
Comparative Grammar of Dagestanian Languages

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია დაღესტნურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზის ჩატარება, საერთო-დაღეს-ტნური ფუძეენის რეკონსტრუქცია, ენობრივ მონაცემთა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრი-სით კვლევის მეთოდოლოგიის დაუფლება და სათანადო მასალის სისტემატიზების უნარ-ჩვევე-ბის გამომუშავება.

ფონოტაქტიკის წესები იბერიულ-კავკასიურ ენებში
Rules of Phonotactics in iberian-caucasian languages

სალექციო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია იბერიულ-კავკასიური ენების ფონემატური სტრუქტურების შესწავლა. ფონემათა სინტაგმატიკის წესების ანუ ფონოტაქტიკის და მისი მოქმედების შედეგების გამოვლენა ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე (ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ დონეზე).

იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკური შეხვედრები

Lexical Coincidence of the Iberian-Caucasian languages

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფის ენობრივ სისტემებში საერთოსა და განსხვავებულის, წინარე-ენიდან მომდინარე, საერთო წარმომავლობის ლექსიკური ფონდის წარმოჩენა, სიტყვათა სემასიოლოგიურ ცვლილებათა ჩვენება, გენეტიკურად საერთო წარმომავლობის ძირ-ფუძეთა შედარებითი კვლევის უნარის გამომუშავება.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ფონეტიკა)
Comparative Grammar of the Iberian-Caucasian languages (Phonetic)

სამაგისტრო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფის ენობრივ სისტემებში საერთოსა და განსხვავებულის, ამოსავალი ფონოლოგიური სტრუქტურის ნამდვილი ვითარებისა და განვითარების მიმართულების წარმოჩენა, ენათა შედარებითი კვლევის უნარის გამომუშავება.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა (მორფოლოგია)
Comparative grammar of the Iberian-Caucasian languages (Morphology)
იბერიულ-კავკასიური ენათა შედარებითი გრამატიკა (მორფოლოგია) შეასწავლის სტუდენტებს იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიური სტრუქტურის საკვანძო საკითხებს და უმუშავებს მათ სათანადო ჩვენებათა ისტორიული ინტერპრეტაციის უნარს.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (სინტაქსი)
Historical-comparative grammar of the Iberian-Caucasian languages (syntaxis)
სასწავლო კურსი მაგისტრანტებს აცნობს იბერიულ-კავკასიურ ენათა სინტაქსური სისტემისა და ისტორიის ზოგად საკითხებს. სტუდენტები შეისწავლიან სინტაქსის თეორიებს, სინტაქსურ კონსტრუქციებს და განუვითარებს მათ სინტაქსურ პრობლემათა კვლევის მიდგომებს.

კავკასიის ალბანური (**დამწერლობისა და ენის სტრუქტურის საკითხები**)
Caucasian Albanian (Structural Issues of the Script and Language)
კურსი ითვალისწინებს კავკასიის ალბანური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ზოგადი სტრუქტურის შესწავლას. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოკლედ იქნება განხილული უძველესი საისტორიო წყაროების ცნობები, ალბანური ტექსტობრივი მასალის ანალიზი (პალეოგრაფიული, ფორმალური, კოდიკოლოგიური...), ალბანური დამწერლობისა და მისი წარმოშობის შესახებ საკითხები, ხელნაწერთა და ეპიგრაფიკულ წარწერათა გაშიფვრის არსებული მეთოდოლოგია და განხორციელებული ცდები და სხვა.

კავკასიის არეალური ლინგვისტიკა (კომპარატივისტიკა, ტიპოლოგია, ენობრივი კონტაქტები)
Areal Linguistics of the Caucasus (Comparativistics, Typology, Language Contacts)

წინამდებარე კურსი ემსახურება მაგისტრანტისთვის მწყობრი და სისტემური ცოდნის მიცემას კავკასიის არეალური ლინგვისტიკის სფეროში – იგულისხმება, რომ ზოგადი წარმოდგენა არეალური ლინგვისტიკის საგნის, ძირითადი პრობლემატიკისა და საბაზო ტერმინოლოგიის შესახებ მას უკვე მიღებული აქვს ბაკალავრიატის საფეხურზე – "ენათმეცნიერების შესავლის"

წინამდებარე კურსი ემსახურება მაგისტრანტისთვის მწყობრი და სისტემური ცოდნის მიცემას კავკასიის არეალური ლინგვისტიკის სფეროში – იგულისხმება ზოგადი წარმოდგენა არეალური ლინგვისტიკის საგნის, ძირითადი პრობლემატიკისა და საბაზო ტერმინოლოგიის შესახებ მას უკვე მიღებული აქვს ბაკალავრიატის საფეხურზე – "ენათმეცნიერების შესავლის" კურსიდან.
მაგისტრანტი იღებს სისტემატიზებულ ცოდნას კავკასიის არეალური ლინგვისტიკის ღერძულ სფეროებში: კომპარატივისტულ-გენეალოგიური და ტიპოლოგიური-კომპარატივისტული კვლევის პრინციპები, ლინგვისტური გეოგრაფია, ენათა კავშირის ცნება, ენობრივი კონტაქტების თეორიები და სხვა, კურსი მაგისტრანტს აცნობს:

- თანამედროვე არეალური ლინგვისტიკისა და ლინგვისტური გეოგრაფიის კონცეფციებს, ენობრივი კონტაქტების კლასიფიკაციასა და ამ კლასიფიკაციის საფუძვლებს;
- დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესებისა თუ შედეგების ისტორიულ-გენეტიურ და ტიპოლოგიურ-შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლებს;
- თეორიულ საფუძველს სუბსტრატის, სუპერსტრატისა და ადსტრატის ფენათა გარჩევისა და გამოყოფისათვის ენის გრამატიკულ სისტემასა და ლექსიკურ ფონდში და მათი ვერიფიცირებადი კვალიფიკაციისა და ინტერპრეტაციისათვის;
- ენათა ისტორიული ევოლუციის შინაგანი და გარეგანი მიზეზების განსაზღვრას.

კურსიდან.

კავკასიის გეოპოლიტიკა და რეგიონალიზაცია
Geopolitics and regionalization of the Caucasus.

სამაგისტრო კურსის ფარგლებში გათვალიუსწინებულია, რომ სტუდენტებს განვუსაზღვროთ საერთაშორისო ურთიერთობებში კავკასიის ობიექტიდან სუბიექტში ტრანსფორმაციის გზა.

კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზი
Ethnogenesis of the Caucasian Peoples

სასწავლო კურსი მაგისტრანტს აძლევს მეცნიერულ ცოდნას ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობ-ლემებზე, როგორებიცაა: კავკასიის ხალხების – იბერიულ-კავკასიური, ინდოევროპული და თურქული ეთნოსების ეთნოგენეზის შესახებ.

კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა
(თეორიული ძიებანი და შესწავლის პრობლემები)
History and Culture of the Caucasian Peoples (Theoretical Researches and Problems of Studying)

სასწავლო კურსი მაგისტრატურის სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, მეცნიერული თეორიულ-მეთოდოლოგიური დივერსიფიკაციის საფუძველზე შეისწავლონ კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა. გათვალისწინებულია მომავალი სპეციალისტების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდა რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლ;ემების გადაჭრის საქმეში.

კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია
Cultural (social) anthropology of the Caucasian peoples

სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ ამ სფეროში არსებული ზოგადთეორიული წარმოდგენები და გამოყენებითი მნიშვნელობის საჭირო კონკრეტული ცოდნა. კერძოდ, კავკასიის პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში ინდივიდის და ინიდივიდთა ჯგუფების სოციალურ გარემოში ადაპტაციის შესახებ.

კავკასიური ეთნოლინგვისტიკა და ეთნოტოპონიმიკა;
CAUCASIAN ETNOLINGUISTICS AND ETNOTOPONYMY

სასწავლო კურსი დაეხმარება მაგისტრანტს კავკასიური ეთნოლინგვისტიკისა და ეთნოტოპონიმიკის მეცნიერულ შესწავლაში კავკასიოლოგ მკვლევართა მიერ მოპოვებული არგუმენტირებული დასკვნები (კვლევა-ძიების შედეგები), დაინტერესოს და შეამზადოს მაგისტრანტები კავკასიოლოგიის ამ რთულ სფეროში სამუშაოდ.

კავკასიური ეთნოლინგვისტიკა და ეთნოტოპონიმიკა კავკასიოლოგიაში ახალი სამეცნიერო დისციპლინაა და შესაბამისად სრულიად ახალი სასწავლო კურსია (ეს საგანი დღემდე არსად იკითხებოდა), არადა კავკასიოლოგ მკვლევართა მიერ ამ მიმართულებით შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები უკვე იძლევა საფუძველს ამ სამეცნიერო დისციპლინაში კადრების მოსამზადებლად.

მიგრაციები და დიასპორათა ინტეგრაციის პრობლემები კავკასიაში
The Migrations and the Problems Integrity's of Diaspor in Caucasus

წინამდებარე კურსი მაგისტრანტებს გააცნობს დიასპორათა ჩამოყალიბების ისტორი-ულ-ეთნოლოგიურ თავისებურებებს, ამ მხრივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. ისინი დაეუფლებიან ზოგადად კავკასიათმცოდნეობისა და ხალხთმცოდნეობის ძირითად პრინციპებს, მეთოდიკას. აიმაღლონ კვალიფიკაცია და საფუძვლიანად გაერკვნენ ეთნიკური პრობლემების, ინტეგრაციის და იდენტობის პრობლემათა გაანალიზებაში.

ოსური ენა 1
Ossetian Language 1

ოსური ენა 1 ის სასწავლო კურსის მიზანია: სალიტერატურო ოსური ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის თეორიულ-პრაქტიკული სწავლება და სტუდენტის მომზადება ფონეტიკაში შემდგომი სამეცნიერო კვლევებისათვის.

ოსური ენა 2
Ossetian Language 2

ოსური ენა 2 შესწავლის მიზანია ამ ენის მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა; ოსური ენის მორფოლოგიისა და მორფონოლოგიის შესწავლა სიღრმისეულად, შესაბამისად, მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზება, მორფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

ოსური ენა 3
Ossetian Language 3

ოსური ენა 3-ის შესწავლის მიზანია ამ ენის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შესწავლა. ამასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა. მორფოსინტაქსის საკითხების შესწავლა. ოსური ენის ლექსიკური მარაგის ცოდნის სრულყოფა.

ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა
A comparative Grammar of the Kartvelian Languages

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცენტრალური ენებისა და დიალექტების (ქართველური ჯგუფის) ენობრივ სისტემათა აღწერა და ისტორიის წარმოჩენა; საერთო ქართველური ფუძეენის რეკონსტრუქციული სურათის აღდგენა. ენობრივ მონაცემთა შედარებითი კვლევის უნარის გამომუშავება.

რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვის ისტორია კავკასიაში XVIII-XIXსს.
History of state governing of Russia in the Caucasus in the 18-19th cc.

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს მაგისტრანტს მისცეს მეცნიერული ცოდნა რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში საუკუნეთა განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკური, სოციალური და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ექსპანსიის შესახებ

რუსული ენის ფუნქციონალური გრამატიკა

FUNCTIONAL GRAMMAR OF RUSSIAN LANGUAGE

«ფუნქციონალური გრამატიკის» კურსი მაგისტრანტებს გააცნობს ფუნქციონალური გრამატიკის თეორიის საფუძვლებს, რომელიც ეყრდნობა ფუნქციონალურ-სემანტიკური ველისა და კატეგორიალური სიტუაციის გაგებას. შესაწავლილი კატეგორიები განიხილება იმ პრობლემების თვალსაზრისით, რომლებიც ჩვენს დროში მეტ-ნაკლებად აქტუალურია ფუნქციონალურ-გრამატიკული კვლევებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორია
History of the Soviet State

კურსის შესწავლის მიზანია ახლებურად იდეოლოგიიზაციისა და პოლიტიზაციის გარეშე საბჭოთა საზოგადოების და მის მიერ შექმნილ ინსტიტუტებს შორის რთული ურთიერთობების გაგება. ყურადღება ექცევა, არა მარტო სახელმწიფოს, პარტიის, იდეოლოგიის შესწავლას, არამედ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ფაქტორებსაც.

საქართველო კავკასიის ეთნოპოლიტიკურ და ეთნოკულტურულ სივრცეში (ანტიკური ხანიდან - დღემდე)
Georgia in the etnopolitical and ethnocultural space of Caucasus (From the ancient times up to today).

კურსი მაგისტრანტებს აცნობს საქართველოს როლსა და ადგილს კავკასიის ეთნოპოლიტიკურ და ეთნოკულტურულ სივრცეში და ეხმარება მათ კავკასიის გეოპოლიტიკური და ეთნოლინ-გვისტური თვალსაზრისით შესწავლაში, ასევე ქართველ ერთან დანარჩენი კავკასიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიის შემეცნებაში. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს ანტიკური ხანიდან - დღემდე.

კურსის მიზანია, რომ დაეხმაროს მაგისტრანტებს ცოდნის გაღრმავებაში შემდეგი მიმართულებით:

1) საქართველოს მეზობლად მცხოვრებ კავკასიელ ხალხთა წარსულის და დღევანდელობის, ასევე ქართველ ერთან მათი ტრადიციული ურთიერთობის ისტორიის საკვანძო პრობ-ლემატიკა;
2) მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა და ურთიერთობის მანძილზე ქართველ და დანარჩენ კავკასიელ ხალხებს შორის არსებობდა როგორც კეთილმეზობლური ურთიერ-

თობა და თანამშრომლობა პოლიტიკურ, სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, ასევე ურთიერთდაპირისპირება, რომელიც არცთუ იშვიათად მტრობასა და სისხლისღვრაშიც გადაზრდილა;

3) საქართველო ტრადიციულად წარმოადგენდა კავკასიის რეგიონის ჰეგემონ სახელმწიფოს, როგორც გეოპოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე სამეცნიერო-კულტურული თვალსაზ-რისით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები თანამედროვე კავკასიაში
Social-political processes in the modern Caucasus

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია, რომ მომავალ სპეციალისტებს გაუფართოვოთ როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური წარმოდგენები მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, კავკასიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეთნო-ნაციონალურ და კონფესიურ ფაქტორებზე, ასევე დეტალურად გავაცნოთ ამ პროცესების ემპირიული მონაცემები; 2. სამხრეთ რუსეთში (ჩრდილო კავკასია) და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური და კონფესიური პროცესების შესწავლა შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

თაბასარანული ენა. 1. ფონეტიკა-ფონოლოგია.
Tabasaran language 1. phonetic-phonology

თაბასარანული ენა 1-ის შესწავლის მიზანია ამ ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, შესწავლის ისტორია. თაბასარანული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის შეს-წავლა სიღრმისეულად, შესაბამისად, თაბასარანული ენის ფონეტიკის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება ფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთო-დებისა და მიდგომების გამოყენებით.

თაბასარანული ენა 2. მორფოლოგია
Tanasaran Language 2. Morphology

თაბასარანული ენა 2-ის შესწავლის მიზანია ამ ენის მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა; თაბასარანული ენის მორფოლოგია და მორფონოლოგიის შესწავლა სიღრმისეულად, შესაბამისად, მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზება, მორფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

თაბასარანული ენა 3 (სინტაქსი)
Tabasaran language 3(sintaxis)

თაბასარანული ენა 3-ის შესწავლის მიზანია ამ ენის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შესწავლა. ამასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა. თაბასარანული ენის სინტაქსის საკვანძო საკითხების შესწავლა სიღრმისეულად, შესაბამისად, სინტაქსის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება სინტაქსში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; მორფოსინტაქსის საკითხების შესწავლა. თაბასარანული ენის ლექსიკური ფონდის სრულყოფილი შესწავლა; ენის ცოდნა B2 დონეზე.

თაბასარანული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი
lingvuistic analysis of an tabasaranıan text

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში სტუდენტის მიერ აქამდე დაგროვებული ლინგვისტური ცოდნის თავმოყრა და გაღრმავება; ტექსტის, როგორც ენობრივი იერარქიის უმაღლესი დონის ერთეულის, ანალიზის ობიექტად წარმოჩენა; სხვადასხვა ანალიზური მეთოდისა და მოდელის საფუძველზე მისი სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების შესწავლა; საკომუნიკაციო ფუნქციების გამიჯვნა; ტექსტის კვლევა ინტერდისციპლინურ რაკურსში და, შესაბამისად, მომიჯნავე ფილოლოგიური დისციპლინების მეთოდების გაცნობა და მათი გამოყენება მუშაობის პროცესში, გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე სამეცნიერო დისციპლინა არ მოიაზრება, როგორც ერთიანი თეორიული კონცეფცია.

სასწავლო კურსის შესწავლის საბოლოო ამოცანაა, შეაჯეროს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნა და ამის საფუძველზე შექმნას წინაპირობა შემდგომში ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზისა და ინტერპრეტაციის ტექნიკის დასაუფლებლად.

უდიური ენა – 1
Udi Language 1

უდიური ენის სასწავლო კურსი ითვალისწინებს ფონეტიკის და მორფოლოგიის ძირითადი საკითხების, ზოგადი სტრუქტურის შესწავლას.

უდიური ენა – 2
Udi Language 2

უდიური ენის სასწავლო კურსი ითვალისწინებს მორფოლოგიის საკვანძო საკითხების ზოგადი სტრუქტურის შესწავლას.

უდიური ენა – 3
Udi Language 3

უდიური ენის(3) სასწავლო კურსი ითვალისწინებს მორფოლოგიის, ძირითადი ლექსიკური ფონდისა და სინტაქსის საკვანძო საკითხების, ზოგადი სტრუქტურის შესწავლას.

უდიური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი
lingvuistic analysis of an udi text

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია უდიური ენის ძირითადი ლექსკური ფონდის ათვისება, ენის თეორიული ცოდნის გაღრმავება, უდიური ტექსტის სწორად გაგება და ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ხათური (პროტოხეთური) ენა
Hattian (protohittite) language

კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან ხათურ ენას, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს კავკასიურ ენებთან. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი აითვისებს ხათური ენის ძირითად გრამატიკულ კატეგორიებს, მისი შესწავლის მეთოდოლოგიურ საფუძველს და დაამუშავებს ხეთურ საკულტო–სარიტუალო ტექსტებში ჩართულ ხათურენოვან ფრაგმენტებს.

ხუნძური ენა 1
Avarian language 1

ხუნძური ენა 1-ის შესწავლის მიზანია ამ ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, შესწავლის ისტორია. ხუნძური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის შესწავლა სიღრმესეულად, შესაბამისად, ხუნძური ენის ფონეტიკის შესახებ არსებული სამეცნიერო

ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება ფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

ხუნძური ენა 2
Avarian language 2

ხუნძური ენა 2 შესწავლის მიზანია ამ ენის მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა; ხუნძური ენის მორფოლოგიისა და მორფონოლოგიის შესწავლა სიღრმისეულად, შესაბამისად, მორფოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზება, მორფონოლოგიაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

ხუნძური ენა 3
Avarian language 3

ხუნძური ენა 3-ის მიზანია ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენის, დაღესტნურ ენათაგან ყველაზე მეტად გავრცელებული (მათ შორის – საქართველოსა და აზერბაიჯანში) სალიტერატურო ენის – ხუნძური ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის თეორიულ-პრაქტიკული სწავლება. ხუნძური ენის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითი (სინქრონიული) ანალიზისა და ამ სისტემა-სტრუქტურის ისტორიის (დიაქრონიული კვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით ასწავლოს სტუდენტებს დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის გზები ისე, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს საკუთარი დაკვირვების ჩატარება ენის ისტორია-სტრუქტურის მისთვის საინტერესო საკითხზე.